საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საზოგადოებრივი მაუწყებელი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბილისი

2013 წლის 26 სექტემბერი № 163

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ წინასაარჩევნო რეკლამის გაშვების მიზნით, წინასაარჩევნო რეკლამის დროის განსაზღვრისა და ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის ტარიფების დამტიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევო კოდექსი" 50-ე და 51-ე მუხლების, ასევე, "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-7 პუნქტის და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" დებულების მე-5 მუხლის 5.3.2. ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ეთერში უფასო სარეკლამო დრო საარჩევნო სუბიექტებისთვის განისაზღვროს შემდეგნაირად:

   ა) კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისათვის უფასო სარეკლამო დრო სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" პირველი და მეორე სატელევიზიო, ასევე, პირველი და მეორე რადიო არხებზე განისაზღვროს საათში 60 წმ-ის ოდენობით თითოეული სუბიექტისთვის;

   ბ) არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისათვის უფასო სარეკლამო დრო სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის", პირველი და მეორე სატელევიზიო, ასევე, პირველი და მეორე რადიო არხებზე განისაზღვროს დღეში 15 წმ-ის ოდენობით თითოეული სუბიექტისთვის;

2. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტში აღნიშნული უფასო სარეკლამო დრო არაკვალიფიციური საარჩევო სუბიექტებისთვის სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" პირველი და მეორე სატელევიზიო, ასევე, პირველი და მეორე რადიო არხებზე გამოყოფილი იქნეს ყოველდღიურად 13:00 საათიდან 18:00 საათამდე.

3. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ეთერში ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების ტარიფები განისაზღვროს თანდართული სახით.

4. წინამდებარე ბრძანება ძალაშია მიღების დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 27 ოქტომბრამდე.

დანართი 2 ფურცლად

გენერალური დირექტორის მოვალეობის
დროებით შემსრულებელი — თამაზ ტყემალაძე

2013 წლის 26 სექტემბრის
№163 ბრძანების დანართი

2013 წლის წინასაარჩევნო რეკლამის ეთერში გაშვების პირობები არაკვალიფიციური სუბიექტისთვის

წინასაარჩევნო რეკლამის შინაარსთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი:

- საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 50–ე მუხლის თანახმად, პოლიტიკური რეკლამის გამოქვეყნებისას კადრის კუთხეში უნდა იყოს წარწერა: "ფასიანი პოლიტიკური რეკლამა" ან "უფასო პოლიტიკური რეკლამა".

- წინასაარჩევნო სარეკლამო მასალა არ უნდა შეიცავდეს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალადობით შეცვლის ან დამხობის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის, ეროვნული შუღლისა და მტრობის, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირების მოწოდებას.

- საარჩევნო სუბიექტის წინასაარჩევნო სარეკლამო მასალა აგრეთვე არ უნდა შეიცავდეს არაეთიკურ, უცენზურო და შეურაცხმყოფელ სიტყვებს. „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, მაუწყებელი პასუხს არ აგებს წინასაარჩევნო რეკლამის შინაარსზე. წინასაარჩევნო რეკლამის შინაარსზე პასუხისმგებლობა კანონმდებლობით დადგენილი წესით ეკისრება რეკლამის შესაბამის დამკვეთს.

ტექნიკური სტანდარტები:

არაკვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტს, რომელიც გეგმავს უფასო პოლიტიკური რეკლამის განთავსებას ``საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში``, იმისათვის, რომ სარეკლამო ბადე დაიგეგმოს თითოეული სუბიექტის ინტერესებისა და უფლებების დაცვით, კანონით დადგენილი ნორმების შესაბამისად, სუბიექტმა სრულად უნდა გაითვალისწინოს შემდეგი პირობები:

- წინასაარჩევნო უფასო რეკლამის განსათავსებლად სარეკლამო რგოლი უნდა იყოს წარმოდგენილი ``საზოგადოებრივ მაუწყებელში`` მისამართზე: ქ. თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა 68. რგოლს თან უნდა ახლდეს ოფიციალური წერილი საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თამაზ ტყემალაძის სახელზე.

- სარეკლამო რგოლის ჩანაცვლების შემთხვევაში, ჩასანაცვლებელი სარეკლამო რგოლის განთავსების შესახებ მოთხოვნა ასევე უნდა იყოს წარმოდგენილი ოფიციალურად წერილობით კლიპთან ერთად.

- სარეკლამო მასალა (როგორც თავდაპირველი, ასევე ჩასანაცვლებელი) წარმოდგენილი უნდა იქნას დროულად, ეთერში გაშვებამდე მინიმუმ 1 სამუშაო დღით ადრე.

- სარეკლამო მასალა უნდა იყოს მოწოდებული TARGA ან AVI ფორმატში 720 x 576 რეზოლუციით DVD დისკზე.

- წარმოდგენილი რგოლის (ან რგოლების) ქრონომეტრაჟი არ უნდა აღემატებოდეს 15 წამს და უნდა იყოს სრული 15 წამი სხვა შემთხვევაში არ მოხდება გამოუყენებელი საეთერო დროის ანაზღაურება შეკრებითობის პრინციპით.

განთავსების შესახებ:

თითოეული არაკვალიფიციური სუბიექტისთვის უფასო პოლიტიკური რეკლამის განთავსებისათვის გამოყოფილ დროში, 13:00 საათიდან 18:00 საათამდე 15 წამის განთავსება მოხდება მცოცავი გრაფიკის მიხედვით.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ საეკლამო სამსახურში: 240 90 04
საკონტაქტო პირი მალხაზ ვარდოსანიძე 755 171 730